



პ რ ე ს რ ე ლ ი ზ ი

სტაჟირების ინსტიტუტის გაძლიერება საქართველოში

2018 წლის 16 მაისი, 14:00 სთ.

ქ. ქუთაისი, თამარ მეფის ქ. N59

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმრავლესობისა და „ქართული ოცნება - ძლიერი საქართველოსთვის“ საპარლამენტო ფრაქციის წევრი ლევან გოგიჩაიშვილი, აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის სტუდენტებთან გამართავს შეხვედრას „ქართული ოცნება - ძლიერი საქართველოსთვის“ საპარლამენტო ფრაქციის ახალი საკანონმდებლო ინიციატივის შესახებ.

საკანონმდებლო ინიციატივა ეხება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „საქართველოს შრომის კოდექსის“ საქართველოს ორგანულ კანონში შესატან ცვლილებებს, რომელიც მიზნად ისახავს სტაჟირების ინსტიტუტის გაძლიერებას და აღნიშნული საკითხის მიმოხილვას შრომითი ურთიერთობის ქრილში.

შეხვედრაზე სტუდენტებთან კითხვა-პასუხის რეჟიმში განიხილება პრობლემის გადაჭრის სხვადასხვა გზები და აღნიშნულთან დაკავშირებით ის ცვლილებები, რაც შეიძლება შევიდეს „შრომის კოდექსსა და საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში.

- განისაზღვრება სტაჟიორის/პრაქტიკანტის სტატუსი;
- დამსაქმებელი ვალდებული იქნება გასცეს სტაჟირების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- დადგინდება სტაჟირების გავლის კონკრეტული ვადა;
- სტაჟირება ჩაითვლება შრომით სტაჟში;

ყველა ზემოაღნიშნული ცვლილება ხელს შეუწყობს სტაჟიორების უფლებების დაცვას და მათთვის შესაბამისი სამართლებრივი გარანტიების შექმნას. ასევე, მათ კარიერულ წინსვლას როგორც კერძო, ასევე საჯარო სამსახურში, რაც, ზოგადად, სახელმწიფოს ინსტიტუციური განვითარების ძირითადი გარანტიაა.